დანართი
„დამტკიცებულია“
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის
2016 წლის ----- ----------
№ ---- ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდება

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ (შემდგომში „საბავშვო ბაღების გაერთიანება“) წინამდებარე წესდება (შემდგომში „წესდება”) განსაზღვრავს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტატუსს და სტრუქტურას. აგრეთვე, აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანება, როგორც სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება შექმნილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლია თავის საქმიანობაში და კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სკოლამდელ საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობას.

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დამფუძნებელია ხულოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო – მუნიციპალიტეტის გამგეობა. (მისამართი: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქუჩა №1).

მუხლი 2. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტატუსი

1. საბავშვო ბაღების გაერთიანება არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. საბავშვო ბაღების გაერთიანება კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს მხოლოდ მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. საბავშვო ბაღების გაერთიანებას დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად უფლება აქვს დადოს გარიგებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში და არბიტრაჟში.

5. საბავშვო ბაღების გაერთიანებას აქვს საკუთარი ბალანსი, ანგარიში ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურთან და კომერციულ ბანკში. ასევე ბეჭედი, შტამპი და სტატუსის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი რეკვიზიტები.

6. საბავშვო ბაღების გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო რუსთაველის ქ.№13.

თავი II საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის საგანი და მიზნები

მუხლი 3. საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის საგანი

1. საბვშვო ბაღების გაერთიანება არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა <u>მართვის ორგანო,</u> სადაც წარმოებს ბავშვების მოვლა, აღზრდა-განთლება, მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა ორი წლიდან სასკოლო ასაკამდე.

მუხლი 4. საბავშვო ბაღების გაერთიანების მიზნები

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების მიზანია მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეთიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას, ხელი შეუწყოს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანება ოჯახთან ურთიერთკავშირში ზრუნავს ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე, ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან, დაიცვას მისი უფლებები, ხელი შეუწყოს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ინტერესების განვითარებას.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანების საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი უზრუნველყოფს შესაბამისი აღმზრდელობითი პროგრამების განხორციელებას.

4. საბავშვო ბაღების გაერთიანების საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების ფორმები განისაზღვრება შინაგანაწესით.

თავი III საბავშვო ბაღების გაერთიანების მართვა და სტრუქტურა

მუხლი 5. საბავშვო ბაღის გაერთიანების მართვა და კომპეტენცია

1. „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოს ამტკიცებს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი - ბრძანებით.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანებას მართავს (ხელმძღვანელობს) დირექტორი (შემდგომში- „დირექტორი“), რომელსაც გააჩნია საბავშვო ბაღების გაერთიანების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

3. დირექტორი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

4. დირექტორს 1 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 6. საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის უფლება-მოვალეობანი.

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები, რომელიც არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადოს ხელშეკრულებები (გარიგებები), ხელი მოაწეროს საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსური სახსრების განკარგვასა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

გ) საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები;

დ) საქმიანობის განხორციელებისათვის დაამყაროს შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

ე) მოითხოვოს თანამშრომლებისაგან და მშობლებისაგან დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები.

ვ) წარმოადგინოს საბავშვო ბაღების გაერთიანება მესამე პირთან ურთიერთობაში და იმოქმედოს მისი სახელით.

ზ) სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებისაგან მიიღოს ინფორმაცია სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ.

თ) ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით დაამტკიცოს საბავშვო ბაღების გაერთიანების შინაგანაწესი.

ი) ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგოს საბავშვო ბაღების გაერთიანების საკუთრებაში არსებული ქონება, თუ ქონების განკარგვა ხელს უწყობს საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის ეფექტურად წარმართვას, მის ორგანიზაციულ განვითარებასა და მიზნების განხორციელებას;

კ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა საბავშვო ბაღების გაერთიანების მასწავლებლებთან, მედპერსონალთან და ბავშვის მშობლებთან უშუალო კავშირის მეშვეობით;

გ) ყოველ კვარტალურად მიაწოდოს ინფორმაცია ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობას საბავშვო ბაღების გაერთიანებისა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული მდგომარეობის თაობაზე.

დ) საბავშვო ბაღების გაერთიანების ქონების ეფექტური და მისი მიზანმიმართული განკარგვის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან.

ე) დაიცვას საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები.

ვ) შექმნას ბავშვებისათვის შესაბამისი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო პირობები.

მუხლი 7. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულები

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია:

ა) დაბა ხულოს საბავშვო ბაგა ბაღი.
ბ) ღორჯომის საბავშვო ბაღი.
გ) დიოკნისის საბავშვო ბაღი.
დ) ხიხაძირის საბავშვო ბაღი.
ე) ოქრუაშვილების საბავშვო ბაღი.
ვ) ქვედა ვაშლოვანის საბავშვო ბაღი.
ზ) უჩხოს საბავშვო ბაღი.
თ) ყინჩაურის საბავშვო ბაღი.
ი) დიდაჭარის საბავშვო ბაღი.
კ) რიყეთის საბავშვო ბაღი.
ლ) კვატიის საბავშვო ბაღი.
მ) ღურტის საბავშვო ბაღი.
ნ) საციხურის საბავშვო ბაღი.
ო) ქედლების საბავშვო ბაღი.
პ) ვერნების საბავშვო ბაღი.
ჟ) დანისპარაულის საბავშვო ბაღი.
რ) თხილვანის საბავშვო ბაღი.
ს) ფაჩხის საბავშვო ბაღი.
ტ) მეკეიძეების საბავშვო ბაღი.
უ) კორტოხის საბავშვო ბაღი.

მუხლი 8. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

1. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებია:

ა) სტრუქტურული ერთეულები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებენ ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მიზნების შესრულებას;

ბ) უზრუნველყონ ბავშვთა ხარისხიანი კვება და შესაბამისი რეჟიმის დაცვა;

გ) მშობლის მოთხოვნისთანავე გადასცენ კანონით დადგენილი წესით საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდება და სხვა საჯარო ინფორმაცია.

დ) უზრუნველყონ საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებების დაცვა.

მუხლი 9. სტრუქტურულ ერთეულის მართვის ორგანიზაცია

1. სტრუქტურული ერთეულის მართვის ორგანიზაცია მდგომარეობს შემდეგში:

ა) სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს სტრუქტურულ ერთეულის მენეჯერი (შემდგომში- „მენეჯერი“), რომელსაც ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ერთ წლამდე ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი;

ბ) მენეჯერი ამ წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელმძვანელობს სტრუქტურული ერთეულის მუშაობას, წარმართავს მის საქმიანობას;

გ) მენეჯერი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე;

დ) მენეჯერი ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორთან;

მუხლი 10. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის მენეჯერის უფლება-მოვალეობები

1. სტრუქტურული ერთეულის მენეჯერს უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობაში;

ბ) აიმაღლოს კვალიფიკაცია;

გ) სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვოს სამსახუროებრივი მოვალეობის ჯეროვანი განხორციელებისათვის შრომის შესაბამისი პირობების შექმნა.

დ) მიიღოს გაწეული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურება.

2. სტრუქტურული ერთეულის მენეჯერი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული პირობები და მოთხოვნები;

ბ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა;

გ) ხელი შეუწყოს ბავშვის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

დ) უზრუნველყოს საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორისათვის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

თავი IV სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაცია და მონაწილენი

მუხლი 11. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ჩარიცხვისათვის (მიღებისათვის) წარსადგენი დოკუმენტაცია

1. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ჩარიცხვისათვის (მიღებისათვის) დაინტერესებულმა პირებმა საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციას უნდა წარუდგინონ:

ა) ბავშვის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

გ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ჩარიცხვაზე უარი დაინტერესებულ პირს უნდა ეცნობოს დასაბუთებული წერილობითი ფორმით.

მუხლი 12. სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება საბავშვო ბაღების გაერთიანების (ღორჯომის, დიოკნისის, ქვემო ვაშლოვანის, ხიხაძირის, ოქრუაშვილების, დიდაჭარის, ღურტის, ქედლებისა და თხილვანის) სტრუქტურულ ერთეულებში

1. სტრუქტურულ ერთეულებში (ღორჯომის, დიოკნისის, ქვემო ვაშლოვანის, ხიხაძირის, ოქრუაშვილების, დიდაჭარის, ღურტის, ქედლებისა და თხილვანის) სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება ასაკის მიხედვით:

ა) ბაღის უმცროსი ჯგუფი - 3 – 4 წ.

ბ) ბაღის უფროსი ჯგუფი - 5 – 6 წ.

2. სტრუქტურულ ერთეულებში (ღორჯომის, ქვემო ვაშლოვანის, ხიხაძირის, ოქრუაშვილების, დიდაჭარის, ღურტის, ქედლებისა და თხილვანის) სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება არა უმეტეს:

ა) ბაღის უმცროსი ჯგუფი – 25 აღსაზრდელი

ბ) ბაღის უფროსი ჯგუფი – 25 აღსაზრდელი

3. სტრუქტურულ ერთეულში (დიოკნისის) სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება, სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება არა უმეტეს:

ა) ბაღის უმცროსი ჯგუფი – 20 აღსაზრდელი

ბ) ბაღის უფროსი ჯგუფი – 20 აღსაზრდელი

მუხლი 13. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის - დაბა ხულოს საბავშვო ბაგა ბაღის სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის – „დაბა ხულოს საბავშვო ბაგა ბაღის“ სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება ასაკის მიხედვით:

ა) ბაგის უფროსი - 2-3 წელი;

ბ) ბაღის უმცროსი ჯგუფი – 3-4 წელი

გ) ბაღის საშუალო ჯგუფი - 4-5 წელი;

დ) ბაღის უფროსი ჯგუფი - 5-6 წელი;

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის – „დაბა ხულოს საბავშვო ბაგა ბაღის“ სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება არა უმეტეს:

ა) ბაგის უფროსი - 25 აღსაზრდელი

ბ) ბაღის უმცროსი ჯგუფი – 30 აღსაზრდელი

გ) ბაღის საშუალო ჯგუფი – 30 აღსაზრდელი

დ) ბაღის უფროსი ჯგუფი – 30 აღსაზრდელი

მუხლი 14. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების: ყინჩაურის, უჩხოს, რიყეთის, კვატიის, საციხურის, ვერნების, დანისპარაულის, ფაჩხის, მეკეიძეებისა და კორტოხის საბავშვო ბაღების სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების –ყინჩაურის, უჩხოს, რიყეთის, კვატიის, საციხურის, ვერნების, დანისპარაულის, ფაჩხის, მეკეიძეებისა და კორტოხის საბავშვო ბაღების სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება ასაკის მიხედვით:

ა) შერეული ჯგუფი – 3 - 6 წელი;

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების – ყინჩაურის, უჩხოს, რიყეთის, კვატიის, საციხურის, ვერნების, დანისპარაულის, ფაჩხის, მეკეიძეებისა და კორტოხის საბავშვო ბაღების სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება არა უმეტეს:

ა) შერეული ჯგუფი - 30 აღსაზრდელი;

მუხლი 15. სკოლამდელი აღზრდის (ალტერნატიული) ცენტრების სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება:

1. სკოლამდელი აღზრდის (ალტერნატიული) ცენტრების სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება ასაკის მიხედვით:

ა) შერეული ჯგუფი - 3 - 6 წელი;

2. სკოლამდელი აღზრდის (ალტერნატიული) ცენტრების სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება, სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება არა უმეტეს 22 აღსაზრდელით;

მუხლი 16. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მონაწილეები

ა) ბავშვები;

ბ) აღმზრდელ-მასწავლებლები;

გ) მშობლები.

მუხლი 17. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების აღმზრდელ-მასწავლებელს; უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების საქმიანობაში;

ბ) აიმაღლოს კვალიფიკაცია;

გ) მოითხოვოს შრომის ჯანსაღი პირობების შექმნა;

დ) მიიღოს გაწეული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურება.

1.1. საბავშვო ბაღების გაერთიანების აღმზრდელ-მასწავლებელი; ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული სამსახუროებრივი მოვალეობები;

გ) ხელი შეუწყოს ბავშვის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

2. მშობელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ინფორმაცია სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ და მიიღოს მონაწილეობა მასში;

ბ) ნებისმიერ დროს, კანონით დადგენილი წესით, გამოითხოვოს ინფორმაცია საბავშვო ბაღების გაერთიანებაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით;

გ) მოითხოვს საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდების და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საჯარო დოკუმენტების ასლები;

დ) მოითხოვოს ბავშვის საჯარო სკოლისათვის მომზადება;

ე) მოითხოვოს ბავშვთა უფლებების დაცვა.

2.1. მშობელი ვალდებულია:

ა) პატივი სცეს საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთა საქმიანობას და ითანამშრომლოს მათთან აღსაზრდელის ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) დაიცვას მოქმედი კანომდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები.

თავი V ფინანსები

მუხლი 18. დაფინანსების ძირითადი წყარო

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსების ძირითადი წყაროა ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი. ასევე შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ თავისი მიზნების მისაღწევად განხორციელებული დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან, გრანტებიდან, შემოწირულობებიდან და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს მისი ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას. დაუშვებელია მატერიალური და ფინანსური სახსრების არამიზნობრივად გამოყენება.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში საფინანსო საქმიანობას წარმართავს (ბუღალტრულ აღრიცხვა -ანგარიშგებას აწარმოებს) მთავარი ბუღალტერი, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის წინაშე.

4. საბავშვო ბაღების გაერთიანების წლიურ ხარჯთაღრიცხვას განსაზღვრავს საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურთან, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან შეთანხმებით.

5. საბავშვო ბაღების გაერთიანება სახელმწიფო შესყიდვებს განახორციელებს „სახელმწიფო შეყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 19. აღრიცხვა – ანგარიშგება და რევიზია.

საბავშვო ბაღების გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგება და აუდიტი ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI კონტროლი

მუხლი 20. კონტროლი

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის კონტროლს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს აგრეთვე ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თავი VII რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 21. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

საბავშვო ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად დამფუძნებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით

მუხლი 22. წესდებაში **ცვლილებების ან\და დამატებების შეტანის წესი.**

წესდებაში ცვლილებების ან\და დამატებების შეტანა ხორციელდება ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით.